განკარგულება:**g-87.87221522**
თარიღი:**01/06/2022**

განკარგულება №10

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) სამი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) სამი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის წლიური ქირის საწყისი საფასური:

   ა) **ქალაქ ახმეტაში მდებარე 3632 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.04.51.389) -** საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით - 385 (სამას ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობით;

ა.ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წელი.

ბ) **სოფელ ომალოში მდებარე 7550 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.07.34.117)** - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 485 (ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობით;

ბ.ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წელი.

   გ) **სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 4589 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.09.35.385) -** საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 300.00 (სამასი) ლარის ოდენობით.

გ.ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წელი.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს

საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი